



## დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

### განკარგულება №72

2014 წლის 3 ოქტომბერი

#### ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. დუშეთში, აღმაშენებლის ქუჩა №27- ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართულზე, მარჯვენა ფლიგელში, 12 კვ.მ საოფისე ფართის, შპს „ ტექსერვისისათვის“ ერთი წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტით გადასაცემად, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61- ე მუხლის პირველი, 3-2 ნაწილის შესაბამისად, ამავე კანონის 122-ე მუხლის 3-4 ნაწილის საფუძველზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

#### გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. დუშეთში, აღმაშენებლის ქუჩა №27-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულის მარჯვენა ფლიგელში, 12 კვ. მ. საოფისე ფართი, ერთი წლის ვადით, შპს „ტექსერვისს“ გადასცეს უსასყიდლო უზუფრუქტით.

2. ეს განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.